საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 352/ს
25/07/2023

352-21-4-202307251633

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში შპს „ნაზის“ საქონლის სასაკლაოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „ნაზის“ მიერ წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში საქონლის სასაკლაოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „ნაზის“ საქონლის სასაკლაო ფუნქციონირებს 2012 წლიდან. 2022 წელს, ბაზარზე არსებული გაზრდილი მოთხოვნილების შესაბამისად, გაიზარდა ობიექტის წარმადობა და სასაკლაოზე ხორციელდება დღე-ღამეში 35-40 ცხოველის დაკვლა. 2023 წლის 2 მარტს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ნაზის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58 მუხლის პირველი ნაწილით (წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრა) და ასევე 79^7 მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077479 ოქმი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სასაკლაო განთავსებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში ჯამურად 885 $მ^2$ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 32.12.31.025 და ს/კ: 32.12.31.185). ობიექტი განთავსებულია დასახლებულ პუნქტში და უახლოესი საცხოვრებელი სახლი სასაკლაოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ყვირილა მიედინება ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 140 მეტრში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სასაკლაოს ტერიტორიაზე განთავსებულია ძირითადი საწარმოო შენობა (85.9 $მ^2$) და საქონლის დროებითი სადგომი (14 $მ^2$), რომელსაც გააჩნია ნაკელსაცავი. ძირითად საწარმოო შენობაში ფუნქციონირებს დასაკლავ-დასამუშავებელი დარბაზი, დამხმარე განყოფილებები, ტყავის დასამარილებელი ოთახი, სამაცივრე განყოფილება, ვეტერინარისა და მომსახურე პერსონალის ოთახები, ასევე,

სველი წერტილი. დასაკლავ-დასამუშავებელი დარბაზისა და დამხმარე განყოფილებების კედლები (2 მეტრის სიმაღლეზე) და იატაკი მოპირკეთებულია წყალგაუმტარი ფილებით და აღჭურვილია სავენტილაციო და წყლის შემკრები სისტემებით. ობიექტის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია სამსაფეხურიანი სალექარი, რომელიც დოკუმენტში, რიგ შემთხვევებში, მოხსენიებულია როგორც გამწმენდი ნაგებობა. საწარმოო ინვენტარი დამზადებულია უჟანგავი ფოლადით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასაკლაოზე შეყვანილი საქონელი, საწყის ეტაპზე, თავსდება დროებით სადგომში, ვეტერინარული შემოწმების გასავლელად. შემოწმების შემდგომ, საქონელი გადადის დასაკლავ-დასამუშავებელ დარბაზში, სადაც ხორციელდება საქონლის ვერტიკალური მეთოდით დაკვლა, გასუფთავება და გამოშიგვნა. შემდეგ ეტაპზე საწარმოო შენობაში არსებულ დამხმარე განყოფილებებში მიმდინარეობს საქონლის თავის, ჩლიქების, ასევე, თეთრი და წითელი შიგნეულის გარეცხვა და დამუშავება, ტყავის დამარილება, ხორცის განრბილვა და დაფასოება. დაფასოების შემდგომ მზა პროდუქცია გადადის სამაცივრე განყოფილებაში. ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დასაკლავ-დასამუშავებელი დარბაზი, დამხმარე განყოფილებები, ასევე, შესაბამისი ინვენტარი და მოწყობილობები სუფთავდება კალცინირებული ან კაუსტიკური სოდის ცხელი ხსნარებით, ხოლო კვირაში ერთხელ ტარდება დეზინფექცია. ობიექტის ტერიტორია მოპირკეთებულია ბეტონის საფარით და შემოსაზღვრულია 2 მეტრი სიმაღლის ბეტონის ღობით. ობიექტს გააჩნია ორი შესასვლელი, საიდანაც ერთი გამოიყენება საქონლის შესაყვანად, ხოლო მეორე - მზა პროდუქციის გატანისთვის. შესასვლელ კარებთან მოწყობილია სადეზინფექციო ბარიერი. ობიექტი მუშაობს წელიწადში 360 დღე, დღე-ღამეში 8 საათი და დასაქმებულია 7 ადამიანი. სასაკლაოზე დღის განმავლობაში ხორციელდება 35-40 მსხვილფეხა პირუტყვის დაკვლა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება მიმდებარედ არსებული ჭაბურღილიდან, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით, სასაკლაოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩართულია ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში. ობიექტზე წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები, ძირითად საწარმოო შენობაში არსებული წყალშემკრები სისტემის მეშვეობით, იკრიბება სამსაფეხურიან სალექარში და უერთდება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 2 მარტს განხორციელებული ინსპექტირების შედეგების თანახმად, სასაკლაოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდებოდა ზედაპირული წყლის ობიექტში - მდ. ყვირილაში, ხოლო ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელი ნივთიერების რაოდენობა აღემატებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მნიშვნელობებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული საქონლის დროებითი სადგომისა და ნაკელსაცავის შესახებ ინფორმაცია, ასევე, არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ობიექტების დასუფთავების, გამოსაყენებელი წყლისა და

წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის მართვის საკითხი. დოკუმენტში ასევე არ არის მოცემული საწარმოო პროცესში წარმოქმნილი სისხლის და მისი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასაკლაოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ზესტაფონის მუნიციპალური სამსახური. დოკუმენტის თანახმად, დაკლული საქონლის გამოშიგვნის შემდეგ წარმოქმნილი მყარი ცხოველური ნარჩენები, ჩლიქები და ბეწვი, ასევე, სალექარში დაგროვილი ნარჩენი (შლამი, ცხიმი) დროებით საწყობდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ დახურულ სივრცეში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა), მათი დამუშავებისათვის გამოყენებული მეთოდების, ასევე, დროებითი განთავსების პირობებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასაკლაოს ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს ხმაურწარმომქმნელი დანადგარები და შესაბამისად, ხმაურის გავრცელება მოსალოდნელი არ არის, თუმცა, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებაში არ არის გათვალისწინებული საქონელი, როგორც ხმაურის წარმომქმნელი წყარო. ამასთან, დოკუმენტში არ არის განხილული სასაკლაოს ექსპლუატაციის პროცესში სუნის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი. ვინაიდან, სასაკლაო განთავსებულია მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურისა და სუნის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. სასაკლაო განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაგზავნილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქონლის სასაკლაოს ადგილმდებარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, დოკუმენტში დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-7 პუნქტის 7.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში საქონლის სასაკლაოს ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნაზი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნაზის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნაზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო